










ნიანგი

ქართული
ბავშვთა ჟურნალი

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპპ.







საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშობლიური კედლებო, უქრობელო ლამბარო,
 უწმინდესო ალაგო, ბადაგივით დამტკბარო.
 მოველ, გზას მინათებდა შუქი შენი სანთლისა,
 მინდა ქვებიცი დაგოცნო შენი წმინდა ტაძრისა.
 მოველ, რათა ამაგდარს გითხრა ჩემი სათქმელი.
 დაგილოცო ბუდიდან აფრენილი მართვენი.
 სადღა აღარ შეხვდები შენგან დაზრდილ არწივებს,
 რასაც ხელი შეახეს, სულ წალკოტად აქციეს.
 კოსმოსს შეხსნეს კარიბჭე, ვარსკვლავითი დაკვალეს,
 ზღვებში, სად რა თევზია, სათითაოდ დათვალეს.
 გალაქტიკა აზომეს ოპტიური ლინზითა,
 მოკლედ, სასწაულები ხდება შენი ვიზითა.
 ზოგი კოსმოდრომიდან გზავნის ციურ ხომალდებს,
 ზოგი კაბინეტიდან ბრძანებებს და მომართვებს.
 ზოგი მადანს დაექებს, ზოგი ებრძვის სტიქიონს,
 ზოგი მშობლის ჯიბით სვამს კაფეებში ლიქიორს.
 ზოგი შრომას უმღერის ქალაქად თუ სოფლადა,
 ზოგიც ტაქსომოტორში „ვოლგაზე“ ზის შოფრადა.
 ზოგი ჩრდილო პოლუსზე უინულებში დრეიფობს,
 ზოგი დახლში დამდგარა, ძმაბიჭებში ქეიფობს.
 ზოგი დაუსწრებელზე სწავლობს ათი წელია,
 რა ქნას, ვერ გთმობს, უყვარხარ, მოემართოს ხელია!
 ზოგის დიპლომს მშობელი ცხრაკლიტულში ინახავს,
 მერე შვილსაც ინახავს, ანდა მეტი ვინა ჰყავს?!
 მაგრამ ასეთებიც ხომ ათასში ერთია,
 ჰოდა, ერთი უქნარა, ეს ხომ ზღვაში წვეთია.
 ვისაც სწავლა სწყურია, მოვიდეს და ისწავლოს,
 კარი მუდამ ღია გაქვს, შენმა ჰერმა იხაროს.
 დაგელოცოს მასპინძელს მიღება და შეხვედრა,
 მისაღებ გამოცდებზე ერთ რამედ ღირს შეხედვა.
 რა ფუსფუსი, ჩურჩული, რა თვალბის პაჭუნი,
 რა ფრჩხილების კვენტა და რა კბილების კრაჭუნი,
 რა თითების წვალება და რა თავის კანტური,
 აქეთ კარგი ნიშანი, იქით კვანტი, კვანტური.
 ვინ მოსულა ცოდნით და ვინ გიტარის წკარუნით,
 სტუდენტობას უმიზნებს „ვოდელია-რანუნით“.
 თითო აბიტურიენტს ცხრა-ცხრა კაცი მოუვება,
 მაგრამ ამდაგვარები შენთან ველარ მოხვდება.
 ეგ კედლები სპეტაკი, ტკბილი როგორც ოცნება,
 შენი აღზრდილებისგან ბევრჯერ დაიკოცნება.
 ბევრჯერ მოვალთ მუხლმოყრით, ბევრჯერ გეტყვი
 მადლობას,
 რადგან შენ გვაზიარე ქვეყნად ალაღმართლობას.
 რადგან შენ შეგვახვედრე ცხოვრების გზას მღელვარეს,
 რადგან შენი სახელი კილით კიდე ეღვარებს,
 რადგან შენი სინათლით მოარღვევი უკუნეთს,
 რადგან შენში ნათელი მომავალი გუგუნებს.

მადლობელი ვარ ჩემი შვილების გაზრდისათვის.

3. მამუკელაშვილი
 ბ. ჩიქვილაძე

საქართველოს


ნაცნობი ღიალოგი

— უნივერსიტეტში სწავლობ და მისი დაარსების ისტორია არ იცი?!
 — რა მოხდა მერე, ეკონომიურზე ვარ, ისტორიულზე კი არა.
 — ჩვენი სიამაყეა: საქსაფონზე უკრავს, კალათბურთის თამაშობს, ლექსებს წერს...
 — ლექციებზე როდისღა დადის?
 — კაცი ამდენ საქმეს აკეთებს და შენ სწავლასაც სთხოვ?!
 — ლექციებზე როდისღა დადის?
 — კაცი ამდენ საქმეს აკეთებს და შენ სწავლასაც სთხოვ?!
 — ლექციებზე როდისღა დადის?
 — კაცი ამდენ საქმეს აკეთებს და შენ სწავლასაც სთხოვ?!


უცნობი ღიალოგი

შვილი: მამიკო, კათედრაზე მტოვებენ!.. ჰო, გადამწყვეტილია, მაგრამ იქნებ შემოგვარა და...
მამა: რაო?! რას ბედავ შენ, თუ იცი!.. მე, სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაყმა, ვითხოვო: არ უნდა კათედრაზე დარჩენა და გაანაწილეთ — მეთქი?! რას იტყვის ხალხი, პროტექტორობა გინდა დამწამონ შენი გულისთვის?..
შვილი: ...რა მოხდა ბოლოს და ბოლოს!.. გუბაში არქტიკაში გაანაწილეს, ფარსმანი იაკუტიაში და ჩემთვის ავერ, მურმანსკიცი აღარ დარჩა ადგილი?! ეს მაშინ, როცა ყველგან პაერივით სჭირდებოდათ პედაგოგი-ისტორიკოსები!..
მამა: ბევრს ნუ ლაპარაკობ!.. შენზე და ჩემზე უკეთ იციან იაკუტიაში ხარ საჭირო თუ კათედრაზე... და საერთოდ, ძალიან თავს გახვედით ახლანდელი ახალგაზრდები... უყუარე შენ?!
შვილი: არ მინდა კათედრაზე... იაკუტიაში მინდა-ა-ა-ა-ააა!..
მამა: ეს რა დღეში ჩავვარდი კაცო: ჯერ იყო და შენმა დამ, კრავაიმ გამიშრო სისხლი, თუ ბურიატ-მონღოლეთში, ან უკიდურეს შემთხვევაში ჩუკოტკაზე არ გამანაწილეს და ასპირანტურაში დამტოვეს, ვენებს გადავიჭრიო... არამცდაარამც არ გამოვა.
შვილი: არ გამოვა და არც მე შევალ ასპირანტურაში, არ გავხდები დოცენტი და არ გამოვალ პროფესორი.

ღიალოგებს ყური მოჰკრა
 კ. პატინაშვილმა



— როგორც ვაჭყოზი, თქვენ დღესაც არ მოგინდათ სემინარი მიზიდულობის კანონში.



— ტროლეიბუსიდან ჩამოხტომისათვის ჯარიმა გადაიხადე!
 — სინდისს გფიცვები, მე არ ჩამოვხტარვარ, კონტროლიორმა ჩამომაგლო!


მთვარე ჯერ კიდევ ცალკეად იღიმებოდა ცის კაბადონზე, ჩვენსას რომ ფუსფუსი შეიქმნა. თითქოს ომში მაცილებდნენ, იმდენი ხალხი გამოყვა ჭიშკრამდე.
 — არავის აწყენინო, ნენა, ვინმემ, რომ გაგლანძღოს. მადლობა უთხარი!
 — ისე ქე გაქ ცხრა მტკაველი ენა და გამოცდაზე არ დამუხჯდე, შე შეჩვენებულო!
 — ლექტორებს არ დაუწყყო კირკიმალი ბებია, თვარა გისვრიან ხელად კარში!
 — თუ ჩააბარებ, ბიძია, მაგი მინდა მეც, თვარა აგერაა ოროყიანი თოხი, გუშინწინ მოპირა კოსტაიამ..
 — კენჭი ჩაიდევო დეიდა, გულის ჯიბეში!
 რიგ-რიგობით წამიკითხეს წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლი და გამოსათხოვებლად ბეზიჩემს მისცეს სიტყვა.
 ბებია ჩამიგდო თუ არა ხელში, იმდენი მატრიალა წალმა, რომ თავბრუ დამესხა და ყველაფერი უკუღმა მეყურებოდა. მერე სამი, სამსაათიანი სახარება ღმერთს წაუკითხა: — ღვთისმობელო, ჩააბარებო ჩემს ბაღანას და მიეცი იმდენი ქულები, რომ ეყოს, ნუ გამეიყვან მირიანეს ბიჭივით ვირა. უნიჭო არ გეგონოს, წიგნს ნუ დაანახებ და მოკალი, თვარა იცოცხლე-თქვა, ტვინის კოლოფია ცარიელი... ხომ იცი, ჭინჭრის ნახარშით მყავს გამოზრდილი. ორი თვე ძროხის ფაშვში მყავდა გახვეული. უდღეური დეიბადა, მარა ახლა ხომ გავს კაცს... დაეხმარე უმამო ბაღანას, მამაზეციერო...
 სოფლის გადასახვევამდე მღვერებივით მომდევდნენ ხმები:
 — თუ ჩაიჭრა, სახლში გამოქანდი, ყანაა გასათოხნი!
 — ტრამვაის არ დაეჯახო!
 — ჯიბეში ფარა არ ამოგართვას!
 — ჩემოდანს მოუჭირე ხელი!
 — ჰკუთ, ჰკუთ, ჰკუთ!

საქართველო

კით გაყვითლებული სახე. მოგებნე კორპუსი, სართული, აუდიტორია, მერხი და დავჯექი...
 ქართულ წერაში ოქრო კაცი აღმოჩნდა ჩვენი გამოცედილი. არც მერხებში დაუწყია ქექვა და არც ჯიბეებში. ზოგიერთივით, თორემ საფოსტო ყუთივით ვიყავი სავსე „შპარგალკებით“.
 მან სათაურის დაწერაც ვერ მოასწრო, რომ მე მოვასწარი შარვლის უკანა ჯიბეში ხელის შეცურება და ოთხმეტრიანი მუნჯი სუფლიორი მოვაკალათე უკრამი. მაგრამ ლექტორმა სათაური დაწერა და მოკლედ გვითხრა: მოკლედ მინაარსს დაწერო.
 რაღას ვინამიდი, გავახატუნე ტვინი და ავიტყვი აუტკივარი თავი. დაწვერე მარა რა დაწვერე — არ დამიკლია არაფერი. ცხადია, ცოტა მეჩხის ერთმა მეზობელმა შემხსენა, ცოტა მეორემ გადამაწერინა, ბევრი ჩემი დაგუმატე, ერთმანეთში შევახავე და ძღვენივით მივართვი კომისიას.
 შესამე დღეს, მარჯვენა ხელის მტევანი. ხუთივე თითი გულლიათ გაშლილი მიჩვენა დეკოლტიანმა მდივანმა და საგამოცდო ლელვის ფოთოლივით გადმომიფრიალა.
 ზეპირში „მე და დამე“ რომ არ შემხვედროდა, დამეგამდე ვილაპარაკებდი პოეზიის ღმერთზე.
 — დამისახლე რთული წინადადება და გამირჩიე!
 — მიბრძანა ლექტორმა.
 — თამაზი რომ ინსტიტუტში სწავლობდა, თავი სწავლულივით ეჭირა, ჰკუთს სხვას ასწავლიდა, ლექციებს არ ესწრებოდა, ლოთობდა და მამამისის დახმარებით მაინც დაამთავრა.
 — თამაზი რა არის? — მკითხა ლექტორმა.
 — თამაზი არის უსაქმური, პარაზიტი, ცხოვრების მუწყუცი, საზოგადოების ფილოქსერა! — ვპასუხობ გულმოსული
 — არა, მე სინტაქსურად გეკითხები!
 — სინტაქსურად ქვემდებარეა, მაგრამ აფსუსი არაა ის ქვემდებარე იყოს და მამამისი უბრალო დამატება!
 — ვითომ რატომ? — გაუკვირდა ლექტორს.
 — რატომ და თამაზი რომ ორს ლებულობდა, ორს კი-



"ნიანგი" - ჟანრული გაზეთი



— გაგატარეთ, ლექსიანო მარტიანდებო!
 — კალტო გაიხადეთ, ჩასმულს ვერ გა-
 ბიშვებთ!



— ჩაიტვით, გახდის ვერ გაგატარებთ!



— ბიუროს მდივნად ვასახელებ გეშენებამს.
 — ვერ იმუშავებ, პირველ კურსზეა.
 — მაშინ სანდუხაქამს!
 — არ იმუშავებს, მესამე კურსზეა!



სტუდენტის ლექსიკონი

გამოსა — ძნელი წარმოსადგენია, სა-
 ნამ საკუთარ თავზე არ გამოცდი.

ინტერპრალი — ერთი დაგრეხილი რამ,
 ბევრს უგრეხს კისერს.

ლაბორატორიული სამუშაო — ათასჯერ
 აღმოჩენილის ათასმეერთედ აღმოჩენა.

ნიჭი — გაუმუდავებელ ფოტოფირს გავს,
 მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით
 არა ქიმიკატებით, ოფლით მუდავდება.

პრაქტიკა — ექსკურსია (ძირითადად
 რუსეთში) რუსულ ენაში პრაქტიკის მიღე-
 ბის მიზნით.

უმაღლესი განათლება — გამოთქმა, რო-
 მელსაც შეცდომაში შეჰყავს ზოგიერთი და-
 წესებულების ხელმძღვანელი.

ჩათვლის წიგნაკი — ცნობილი და ნაკ-
 ლებადცნობილი პროფესორების ავტორგრა-
 ფების შესაგროვებელი ბლოკნოტი.

ცვიტნოტი — საგნის მოსამზადებელი
 დროის ნაკლებობა, რაც საშუალებას აძ-
 ლევს გამომცდელს ადვილად დააშამათოს
 სტუდენტი.

წითელი დიპლომი — სირცხვილისაგან
 გაწითლებული დიპლომი (ასპირანტურის
 საშვი).

ჯგუფხელი — უდანაშაულო დამნაშავე.

კალსინაცია — იწყება ექვსი გამოცდი-
 სა და ცხრა ჩათვლის ჩაბარების შემდეგ.

თეიმურ ჩახუნაშვილი

ღევ ძაბა უმატებდა! ლექტორმა ღიმილი მახუტა და ჩემს
 პასუხს ერთი ნიშანი დაუმატა.

ისტორიის გამოცდაზე კინაღამ ამოვწყვიტე და გავა-
 ნადგურე ცუსიმასთან იაპონიის ფლოტი.

გერმანულში, ტექსტის კითხვა რომ დავიწყე, საკერა-
 ვი მანქანასავით გავრეკე... სანამ გამომცდელი პირველ
 წინადადებას გაიგებდა, მე უკვე მეხუთეზე ვიყავი გასუ-
 ლი. ერთი პირი სცადეს შეჩერება, მაგრამ არაფრით
 ტემპი არ დავაგდე... მივყარე და მივყარე. ჩასუნთქვისა
 და ამოსუნთქვის დროს პაუზა ორმაგად შევამცირე, რი-
 თაც გამომცდელს შეკითხვების ჩასართავი გზა მოვუ-
 ქერი. კარებში გამოსვლისას „აუფვიდერზეენ“ დავსძახე
 და ფრიცივით შოტორივად.

ოცდლიანი ცივ-ცხელების შემდეგ ავეისტოს ერთ
 ცხელ საღამოს გაცეცხლებული ვეცი უნივერსიტეტის კა-
 რების წინ გამოკრულ ჩარიცხულთა სიას. არც ჩამისუნ-
 თქავს, ისე ჩამოვარაკრავე ნახევარარშინიანი სია, მაგ-
 რამ ალფავიტ ც-ზე გვარი უცბათ ვერ ვიპოვე. გულმა
 სასულე ორკესტრის დაფდაფებით დამიწყო ბრახუნნი;
 ტანზე ცივმა ოფლმა დამასხა... ციმაკურიძე, ცუცქირი-
 ძე, ცქიტინვილი, ცინ, ცინ... სიცილ-ტირილი ამივარდა.

...ციხ... ცა... — განვავრძე კითხვა და როგორც ბე-
 ბიამ იცის ლოცვის დროს, პირდაღებულმა ცას ავხედე,
 მერე ისევ ძერასავით ვეძგერე სიას და როცა „ძე“ ამლ-
 ვიკითხე, მივხვდი აღარავინ იქნებოდა მეორე ჩემს მეტი,
 რომელსაც ჩემი გვარი, სახელი, მამის სახელი და ჩემ-
 დენი ქულა ექნებოდა.

...მატარებელში თვალი არ მომიხუჭავს. ან რა დამა-
 ძინებდა საერთო ვაგონში. ვდგავარ ფეხზე, ცხენივით
 ვთვლემ და აზრს ვალაგებ, როგორ მივუახლოვდები ჩემს
 სოფელს, ჭიშკარს, დავინახავ კაკლის ჩეროში მჯდარ
 ბებიაჩემს, დედაჩემს, მეზობლის ქალებს, ცისა და ქვეყ-
 ნის ამბებს რომ ჰყვებიან და, რაც ძალა და ღონე მქვს,
 დავიყვარებ: სტუდენტი ვააააარ...


ჩემი ხმა ქუხილივით შეასკდება წიფნარის ტყეს, გა-
 დაუვლის ნალევის ღელეს და მისი ექო სადღაც ზევით,
 სურების მთებში, ფირალივით გადაიკარგება.

ვანო ცინცაძე,

რუსთავის წყალმომარაგების ტრესტის მუშა.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
 ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.
 საერთო განყოფილების 93-10-78.

თბილისი, სატირიკო-
 ჟურნალ «ნიანგი».
 ს.პ. კვ ცენტრალური
 კომიტეტის გამომცე-
 მლოცა. ხალოვო.
 დასაბ. 14/Х 1968 წ.
 ზოლ. ზომა 70x108 1/8
 1 ნაბ. ფურც. 1,4.
 ფიზიკურ ფორმათა
 რაოდენობა 1.
 პირობით ფორმათა
 რაოდ. 2. სპ. კვ
 ც-ის გამომცემლო-
 ბის კ/კომიზნაბი.
 თბილისი, ლენინის
 ქ. № 14. შეკვ. № 3577.
 შე 02525.
 ტირაჟი 89.400.






ნ.ა. ზ. ფორჩხიძის

68-657

ინტელექტუალური
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76137



ილია: ასრულდა ჩვენი ნაბეჭადი, ჩემო პაპაძი, აჰი ამბოგლი „თუ ჩვენ ველარ მოვესწრაბით იმ ნებარს ღროს განათლებისას, ჩვენი შვილები ხომ მაინც მოვესწრაბიანო“.